




# როგორ ვისარგებლო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობით?



## რას გულისხმობს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა?

**ქართული ნაწარმი,** ევროკავშირში იმპორტის დროს, განთავისუფლებულია იმპორტის გადასახადისგან.



## რას ნიშნავს ქართული ნაწარმი?

ნებისმიერი, ექსპორტისთვის განკუთვნილი ისეთი პროდუქცია რომელზეც შესაძლებელია მომზადდეს **ნარმოშობის დეკლარაცია** ან გაიცეს **პრეფერენციული ნარმოშობის სერტიფიკატი EUR.1**

## რა არის ნარმოშობის დეკლარაცია?

ქართული ნარმოშობის დამადასტურებელი თვითდეკლარირების სპეციალური ფორმა, რომელიც იცხვება:

- ნებისმიერი ექსპორტიორის მიერ, თუ საექსპორტო პარტიის ღირებულება 6000 ევროს არ აღემატება
- **უფლებამოსილი ექსპორტიორის** მიერ, ნებისმიერი ღირებულების პარტიაზე



## რას ნიშნავს უფლებამოსილი ექსპორტიორი?

შემოსავლების სამსახურის მიერ მინიჭებული სპეციალური სტატუსის მქონე ექსპორტიორი, რომელსაც უფლება აქვს თავად შეადგინოს პრეფერენციული ნარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი - **ნარმოშობის დეკლარაცია**. სტატუსის მიღების ერთ-ერთი პირობაა ბოლო 12 თვეში ქართული ნაწარმის მინიმუმ 6 ექსპორტი არანაკლებ 100,000 ლარის საერთო ღირებულებით.



## რა არის პრეფერენციული ნარმოშობის სერტიფიკატი EUR.1?

„გადაადგილების სერტიფიკატი“ რომელიც მასში მოცემული შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე ადასტურებს რომ ევროკავშირში ექსპორტისთვის გაკუთვნილი პროდუქტი აკმაყოფილებს სპეციალურ **ნარმოშობის წესებს**.



## რას ნიშნავს ნარმოშობის წესი?

**ნარმოშობის წესი** განსაზღვრავს რომელი პროდუქტი უნდა იყოს **სრულად ნარმოშობილი** და რომელი **საკმარისად გადაუმუშავებელი** ან **სპეციფიკურად დამუშავებული** საქართველოში, იმისთვის რომ მიენიჭოს ქართული ეკონომიკური ეროვნება და ისარგებლოს შეღავათით (პრეფერენციით).

ზოგ პროდუქტზე ვრცელდება ერთი კონკრეტული ნარმოშობის წესი, ზოგ პროდუქტზე ექსპორტიორს აქვს უფლება აარჩიოს მისთვის ხელსაყრელი წესებიდან ერთერთი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მოითხოვება რამდენიმე წესის ერთდროულად დაკმაყოფილება.

## რას ნიშნავს სრულად ნარმოშობილი?

სრულად ნარმოშობილად ითვლება:


- საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული და გაზრდილი ცხოველები და მათგან მიღებული საკვები და სხვა პროდუქტები
- ქართულ მიწაზე მოყვანილი სოფლის მეურნეობის ნაწარმი და მოპოვებული ბუნებრივი რესურსები



# რას ნიშნავს საკმარისად გადაუმუშავებელი ან სპეციფიკურად დაუმუშავებელი?

## დამატებითი დიხებულების წესი

პროდუქტის შემადგენლობაში გამოყენებული, **მესამე ქვეყნაბი წარმოშობილი**, მასალის ღირებულება არ სცდება მისი ფრანკო-ქარხნის (EXW) ღირებულების კონკრეტულ პროცენტულ ნიშნულს.




## საგაჩიფო კოდის ცვლილების წესი

**მესამე ქვეყნაბი წარმოშობილი** იმპორტირებული პროდუქტი იმდენად არის გადაუმუშავებელი საქართველოში რომ მას ენიჭება ახალი **სატარიფო კოდი** რომელიც განსხვავდება ნედლეულის კოდისგან პირველ 4-ნიშნა დონეზე.

## სპეციფიკური დამუშავების წესი

**მესამე ქვეყნაბი წარმოშობილი** იმპორტირებული პროდუქტი დამუშავებულია კონკრეტული მითითებული მეთოდით.



მსგავსი ფასნარმოქმნის ქალი აკმაყოფილებს პრეფერენციულ წარმოშობას მიუხედავად იმისა, რომ იმპორტირებული ნაწილების ღირებულება სცდება EU-ს მიერ დაშვებულ 50%-იან ზღვარს, რადგან თურქეთი **პარტნიორი ქვეყანაა**.

## რა არის სატარიფო კოდი?


ვაჭრობისთვის განკუთვნილ საქონელს მინიჭებული აქვს საერთაშორისოდ ჰარმონიზებული 6-ნიშნა **სატარიფო კოდი** რომელსაც მეტაჟები იყენებენ ბაჟის დასადგენად (HS Code).

სატარიფო კოდები იყოფა 99 ჯგუფად და აერთიანებს 5300-მდე პროდუქტს.

იგივეა, რაც: სასაქონლო კოდი, საბაჟო კოდი, სასაქონლო ნომენკლატურა.



- 22-00-00**  
ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი
- 22-04-00**  
ყურძნის ნატურალური ღვინოები
- 22-04-21**  
ყურძნის ძვრილა ღვინოები



## რას ნიშნავს მესამე ქვეყნაბი წარმოშობილი?

საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის შემთხვევაში, მესამე ქვეყნებთან ჩაითვლება ის სახელმწიფოები რომლებთანაც საქართველოს არ გააჩნია სპეციალური შეთანხმება მათ ტერიტორიაზე წარმოშობილი პროდუქტის ევროკავშირში უბაჟოდ გატანისთვის. ეს არის ყველა, გარდა შემდეგი **პარტნიორი სახელმწიფოებისა**:

- ევროკავშირის წევრი ქვეყნები
- EFTA ქვეყნები: შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი
- თურქეთის რესპუბლიკა
- უკრაინა

შესაბამისად, თუ საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქტში გამოყენებულია ზემოთ ჩამოთვლილ პარტნიორ ქვეყნებში წარმოშობილი ნედლეული, აღარ დგება სპეციალური გადაუმუშავება-დამუშავების საჭიროება (არსებობს გამონაკლისები).

## როგორ გავიგო აკმაყოფილებს თუ არა ჩემი პროდუქტი პრაქტიკულ წარმოშობას ევროკავშირისთვის?

- 1 დაადგინე საექსპორტო პროდუქტის სატარიფო კოდი 6-ნიშნა დონეზე
- 2 გაარკვე იბეგრება თუ არა ამ პროდუქტის იმპორტი ევროკავშირში
- 3 თუ იბეგრება, შეადარე, რა შედეგით სარგებლობს საქართველო სხვა იმპორტიორებისგან განსხვავებით
- 4 თუ შედეგით მომხიბვლელია, დაადგინე რომელი წარმოშობის წეს(ებ)ი ეხება შენს პროდუქტს
- 5 თუ ეჭვი გეპარება, რომ შენი პროდუქტი აკმაყოფილებს პრეფერენციული წარმოშობის წესებს, მიმართე შემოსავლების სამსახურს გადასამოწმებლად
- 6 თუ დარწმუნდი, რომ შენი პროდუქტი აკმაყოფილებს პრეფერენციული წარმოშობის წესებს, შეავსე წარმოშობის დეკლარაცია ან მოითხოვე EUR.1 სერტიფიკატი



დაასკანერე QR კოდი და იხილე სასარგებლო ონლაინ რესურსების სია ამ კუბლიკაში მოცემული რჩევების განახორციელებლად

**ვისურვებ წარმატებულ ექსპორტს!**